

შპს „მობილია“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2025

შპს „მობილია“

სარჩევი

I.	სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	3
II.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
III.	საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
IV.	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
V.	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-14
1.	ზოგადი ინფორმაცია.....	7
2.	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3.	სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8-11
4.	ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	11
5.	ამონაგები	11
6.	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები.....	12
7.	სხვა საოპერაციო ხარჯები.....	12
8.	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი.....	12
9.	სხვა არასაოპერაციო ხარჯები.....	12
10.	ძირითადი საშუალებები	13
11.	არამატერიალური აქტივები	14
12.	მარაგი	14
13.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
14.	ფულადი სახსრები და ექვივალენტები	15
15.	საწესდებო კაპიტალი	15
16.	სესხთან დაკავშირებული ვალდებულებები	15
17.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
18.	საგადასახადო ვალდებულებები	16
19.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
20.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17
21.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

სრული შემოსავლების ანაგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	5	2,975,115	2,859,676
სხვა შემოსავალი			
ცვლილებები მარაგა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(39,136)	946,184
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა		(1,482,639)	(2,418,031)
დაქირავებულთა ხელფასები და გასამრჯელოები		(70,503)	(47,418)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	6	(48,177)	(50,546)
სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(191,369)	(200,948)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		<u>1,143,292</u>	<u>1,088,917</u>
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	23,723	15,983
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	9	(31,739)	(41,197)
საკუთსო სხვაობის შედეგი		(11,437)	(30,557)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		<u>1,123,839</u>	<u>1,033,145</u>
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>1,123,839</u>	<u>1,033,145</u>

დირექტორი

ზ. ჩალაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,863,795	2,908,159
არამატერიალური აქტივები	11	390	541
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2,864,185</u>	<u>2,908,700</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	12	3,293,910	3,333,045
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	644,659	344,807
სხვა მიმდინარე აქტივები		35,144	76,031
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	14	<u>1,194,349</u>	<u>759,516</u>
სულ მიმდინარე აქტივები		<u>5,168,062</u>	<u>4,513,399</u>
სულ აქტივები		<u>8,032,247</u>	<u>7,422,099</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	2,393,000	2,393,000
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		<u>4,302,555</u>	<u>3,178,715</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>6,695,555</u>	<u>5,571,715</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხთან დაკავშირებული ვალდებულებები	16	<u>327,273</u>	<u>487,403</u>
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>327,273</u>	<u>487,403</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	839,475	1,160,083
საგადასახადო ვალდებულებები	18	17,474	19,114
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		<u>152,470</u>	<u>183,784</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>1,009,419</u>	<u>1,179,196</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>8,032,247</u>	<u>7,422,099</u>

დირექტორი

ზ. ჩალაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
ნაშთი 31.12.2022	2,443,000		2,224,434	4,667,434
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(50,000)	-	-	(50,000)
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-			-
გადაფასების რეზერვის კორექტირება	-			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	1,033,145	1,033,145
ნაშთი 31.12.2023	2,393,000	-	3,257,579	5,571,715
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)		-	-	
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	-		-
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	1,123,839	1,123,839
ნაშთი 31.12.2024	2,393,000	-	4,381,418	6,695,555

დირექტორი

ზ. ჩალაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,099,006	3,726,195
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,841,720)	(2,540,075)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(64,521)	(40,073)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:</i>	1,192,765	1,146,047
გადახდილი გადასახადები	(533,171)	(654,814)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	659,594	491,233
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(3,485)	(221,856)
საპროცენტო შემოსავალი	11,659	7,411
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(8,174)	~ (214,445)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა აღებული სესხიდან	-	-
ფულადი სახსრების გასვლა კაპიტალის განადგებიდან	-	(50,000)
სესხის ძირის გადახდა	(182,671)	(199,370)
სესხის პროცენტის გადახდა	(30,318)	(38,825)
სავალუტო საკურსო სხვაობის შემოსავალი	28,454	14,989
სავალუტო საკურსო სხვაობის ხარჯი	(48,401)	(27,342)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(232,935)	(300,548)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	(434,833)	(23,759)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის დასაწყისისათვის	759,517	783,276
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის ბოლოსათვის	1,194,350	759,517

დირექტორი

ზ. ჩალაძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მობილია“ (ს/კ 405067779) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში.

საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, აღმაშენებლის ხეივანი 30

საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 30

საწარმოს კაპიტალის 100 პროცენტის მფლობელია შპს „მობილია.“

საწარმო დააფუძნა ფიზიკურმა პირმა, ზურაბ ჩალაძემ

საწარმოს საქმიანობის მთავარი საგანია ავეჯით, ხალიჩებით და სანათი მოწყობილობებით ვაჭრობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს სტანდარტი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად. მსს ფასს სტანდარტის გამოყენებას არ გამოუწვევია ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესაბამისი თანხების ცვლილების ეფექტი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ს.

საწარმოს უკანასკნელი ანგარიშგება მომზადებულია აქვს ეროვნული სტანდარტებით. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საწარმო იყენებს მსს ფასს სტანდარტზე გადასვლისას, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც საწარმოს საანგარიშგებო მუხლებისათვის

გამოყენებული იყო ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია საწარმოსთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. ხელმძღვანელობის აზრით საანგარიშგებო პერიოდის უარყოფითი ფინანსური შედეგი საფრთხეს არ უქმნის საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

საქონლის რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების, მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები - 2%

ოფისის აღჭურვილობა - 10-20%

ავეჯი და ინვენტარი - 10-15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

გაყიდული/მოხმარებული მარაგის საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) და არამატერიალური აქტივის განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგეო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგეო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგეო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელის, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5. ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
1 შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	2,975,115	2,859,676
ჯამი:	2,975,115	2,859,676

6. ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები

	12/31/2024	12/31/2023
1 ძირითადი საშუალებების ცვეთა	48,026	50,395
2 არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	151	151
ჯამი:	48,177	50,546

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
1 მომსახურების ხარჯი	19,251	29,850
2 მივლინების ხარჯი	19,188	14,764
3 ბანკის საკომისიო	20,606	25,496
4 საკანცელარიო ხარჯი	50	-
5 სამეურნეო ხარჯი	2,600	5,868
6 კომუნიკაციის ხარჯი	915	915
7 კომუნალური ხარჯი	14,510	16,772
8 საგადასახადო ხარჯი	17,474	17,888
9 საკონსულტაციო ხარჯი	15,609	14,781
10 დაცვის მომსახურების ხარჯი	1,525	1,525
11 საჯარო რეესტრის ხარჯი	-	157
12 რეკლამის ხარჯი	76,640	69,134
13 რემონტის დანახარჯები	-	2,086
14 წარმომადგენლობითი ხარჯი	2,251	102
15 თანამშრომლების სწავლების ხარჯი	500	1,500
16 უსასყიდლოდ მიწოდებულ საქონელზე გაწეული ხარჯი	-	111
17 კომპიუტერის ხარჯი	250	
ჯამი:	191,379	200,949

8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
1 საპროცენტო შემოსავალი	11,659	7,411
2 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	12,064	8,514
3 უსასყიდლო მიწოდება	-	58
ჯამი:	23,723	15,925

9. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
1 საპროცენტო ხარჯი	30,277	38,825
2 სხვა და სხვა ხარჯი	1,462	2,372
ჯამი:	31,739	41,197

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრ ებელი მშენებლო	შენობა	მანქანა დანადგარ ები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება							
ნაშთი: 31.12.2023	<u>1,242,599</u>	<u>3,814</u>	<u>1,690,950</u>	<u>7,213</u>	<u>132,747</u>	<u>12,037</u>	<u>2,871,594</u>
შემოსვლა	-	-	-	-	1,566	2,095	217,766
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2024	<u>1,242,599</u>	<u>3,814</u>	<u>1,690,950</u>	<u>7,213</u>	<u>134,313</u>	<u>14,132</u>	<u>3,089,360</u>
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2024	<u>1,242,599</u>	<u>3,814</u>	<u>1,690,950</u>	<u>7,213</u>	<u>134,313</u>	<u>14,132</u>	<u>3,089,360</u>
აღიარებული ცვეთა							
ნაშთი: 01.01.2023	=	=	<u>93,955</u>	<u>4,411</u>	<u>29,728</u>	<u>2,711</u>	<u>81,417</u>
ცვეთის დარიცხვა	-	-	33,130	1,136	13,976	2,152	49,388
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2023	=	=	<u>127,085</u>	<u>5,547</u>	<u>43,704</u>	<u>4,863</u>	<u>130,805</u>
ცვეთის დარიცხვა	-	-	33,130	727	12,177	1,990	50,395
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2024	=	=	<u>160,216</u>	<u>6,275</u>	<u>55,881</u>	<u>6,854</u>	<u>181,200</u>
საბალანსო ღირებულება							
სნდ-31.12.2023	<u>1,242,599</u>	<u>3,814</u>	<u>1,563,865</u>	<u>1,666</u>	<u>89,043</u>	<u>7,173</u>	<u>2,908,159</u>
სნდ-31.12.2024	<u>1,242,599</u>	<u>3,814</u>	<u>1,530,734</u>	<u>938</u>	<u>78,432</u>	<u>7,278</u>	<u>2,863,795</u>

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
 - (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
 - (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.
- ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

11. არამატერიალური აქტივები

საწყისი (ისტორიული) ღირებულება	საადრიცხო პროგრამები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ ჯამი
31.12.2023 წელი	<u>754</u>	=	<u>754</u>
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31.12.2024 წელი	<u>754</u>	=	<u>754</u>
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
აღიარებული ამორტიზაცია			
31.12.2023 წელი			=
პერიოდის დარიცხვა	151		151
გასვლა - ჩამოწერა	-	-	-
31.12.2023 წელი	<u>214</u>	=	<u>214</u>
პერიოდის დარიცხვა	151	-	151
გასვლა - ჩამოწერა	-	-	-
31.12.2024 წელი	<u>365.00</u>	=	<u>365</u>
საბალანსო ღირებულება			
31.12.2024 წელი	<u>389</u>	=	<u>389</u>

12. მარაგი (სასაქონლო - მატერიალური ფასეულობა)

	31.12.2024	31.12.2023
1 მზა პროდუქცია	3,293,910	3,333,045
2 ნედლეული და მასალები	2,587	2,587
3 სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	32,601	26,746
ჯამი:	<u>3,329,098</u>	<u>3,362,378</u>

პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება 1,521,775 ლარი

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
1 სავაჭრო მოთხოვნები	85,978	76,678
2 გადახდილი ავანსები	481,491	268,129
3 სხვა მოთხოვნები	77,190	-
ჯამი:	644,659	344,807

14. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
1 ფული საბანკო ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	708,871	97,911
2 ფული საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში	458,928	641,976
3 ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	26,550	19,629
ჯამი:	1,194,348	759,516

15. საწესდებო კაპიტალი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საწარმოს განთავსებული აქვს საწესდებო კაპიტალი 2,243,000 ლარის ოდენობით, აღნიშნული საწესდებო კაპიტალი შევსებულია სრულად და დამფუძნებლებს არ ეკისრებათ რაიმე ვალდებულება საწესდებო კაპიტალის შევსებაზე.

	31.12.2024	31.12.2023
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	2,393,000	2,393,000
შევსებული კაპიტალის ოდენობა	2,393,000	2,393,000

16. სესხთან დაკავშირებული ვალდებულებები

ბანკის გრძელვადიანი სესხის ვალდებულება სულ 31.12.2024 წლისათვის - 479,743 ლარი.

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ვალდებულება 31.12.2024 წლისათვის 152,470 - ლარი

სესხი აღებულია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე.

სესხის ხანგრძლივობა: 10/01/2022 დან 10/09/2029 მდე

წლიური სარგებელი: 5.88 % პროკრედიტ ბანკი; საქართველოს ბანკი 5%

გრძელვადიანი სესხი	31.12.2024	31.12.2023
ერთი წლის განმავლობაში	152,470	183,784
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ 5 წლის განმავლობაში	327,273	487,403
ჯამი:	479,743	671,187

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
1 სავაჭრო ვალდებულებები	142,746	133,484
2 მიღებული ავანსები	696,729	1,026,599
ჯამი:	839,475	1,160,083

18. საგადასახადო ვალდებულება

	31.12.2024	31.12.2023
1 ქონების გადასახადი	17,474	17,568
2 გადასახდელი დღგ	-	1,545
ჯამი:	17,474	19,113

19. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

ა) დაკავშირებულ მხარეთა სამეურნეო ოპერაციები

ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან:

- შპს „მობილიას“ 100%-იანი დამფუძნებელი არის შპს „ბრენდ ლაინის“ 100% დამფუძნებელი, ამ საწარმოებს საანგარიშო პერიოდში არ ქონია საქონლის მიწოდება, და შპს „მობილიას“ ერიცხება სავაჭრო ვალდებულება.

დაუფარავი ნაშთის თანხა 2024 წლის ბოლოს შეადგენს 108,675 ლარი.

ბ) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

შემდეგ ცხრილში მოტანილია ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელის და პარტნიორების შრომის ანაზღაურების შესახებ რომლებიც აქტიური არიან საწარმოს საქმიანობაში.

N	ხელფასები	2024 წელი	2023 წელი
1	საწარმოს დირექტორი	34,439	17,857
სულ		34,439	17,857

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც საჭიროებს გამჟღავნებას.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 29.09.2025

სრული შემოსავლების ანაგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	5	2,975,115	2,859,676
სხვა შემოსავალი			
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(39,136)	946,184
სასაქონლო-მატერიალური ფასეულების შემცნა		(1,482,639)	(2,418,031)
დაქირავებულთა ხელფასები და გასამრჯელოები		(70,503)	(47,418)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	6	(48,177)	(50,546)
სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(191,369)	(200,948)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1,143,292	1,088,917
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	23,723	15,983
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	9	(31,739)	(41,197)
საკუთრსო სხვაობის შედეგი		(11,437)	(30,557)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1,123,839	1,033,145
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1,123,839	1,033,145

დირექტორი

ზ. ჩალაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,863,795	2,908,159
არამატერიალური აქტივები	11	390	541
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,864,185	2,908,700
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	12	3,293,910	3,333,045
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	644,659	344,807
სხვა მიმდინარე აქტივები		35,144	76,031
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	14	1,194,349	759,516
სულ მიმდინარე აქტივები		5,168,062	4,513,399
სულ აქტივები		8,032,247	7,422,099
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	2,393,000	2,393,000
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		4,302,555	3,178,715
სულ საკუთარი კაპიტალი		6,695,555	5,571,715
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხთან დაკავშირებული ვალდებულებები	16	327,273	487,403
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		327,273	487,403
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	839,475	1,160,083
საგადასახადო ვალდებულებები	18	17,474	19,114
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		152,470	183,784
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,009,419	1,179,196
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,032,247	7,422,099

დირექტორი

ზ. ჩალაძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
ნაშთი 31.12.2022	2,443,000		2,224,434	4,667,434
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(50,000)	-	-	(50,000)
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-			-
გადაფასების რეზერვის კორექტირება	-			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	1,033,145	1,033,145
ნაშთი 31.12.2023	2,393,000	-	3,257,579	5,571,715
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)		-	-	
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	-		-
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	1,123,839	1,123,839
ნაშთი 31.12.2024	2,393,000	-	4,381,418	6,695,555

დირექტორი

ზ. ჩალაძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,099,006	3,726,195
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,841,720)	(2,540,075)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(64,521)	(40,073)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	<u>1,192,765</u>	<u>1,146,047</u>
გადახდილი გადასახადები	<u>(533,171)</u>	<u>(654,814)</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	659,594	491,233
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(3,485)	(221,856)
საპროცენტო შემოსავალი	<u>11,659</u>	<u>7,411</u>
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(8,174)	~ (214,445)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა აღებული სესხიდან	-	-
ფულადი სახსრების გასვლა კაპიტალის განაღდებად	-	(50,000)
სესხის ძირის გადახდა	(182,671)	(199,370)
სესხის პროცენტის გადახდა	(30,318)	(38,825)
სავალუტო საკურსო სხვაობის შემოსავალი	28,454	14,989
სავალუტო საკურსო სხვაობის ხარჯი	<u>(48,401)</u>	<u>(27,342)</u>
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(232,935)	(300,548)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	(434,833)	(23,759)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისათვის	759,517	783,276
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	1,194,350	759,517

დირექტორი

ზ. ჩალაძე

